

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია  
**GEORGIAN BAR ASSOCIATION**  
**WWW.GBA.GE**




*GBA-Newsletter*

აპრილი 2016

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა

27 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა და დედაქალაქის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თედო კობახიძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები გეგმავენ, აქტიურად ითანამშრომლონ საკანონმდებლო საქმიანობის პროცესში და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით ერთობლივად შეიმუშაონ სამართლებრივი რეგულაციები და პროექტები.



აღნიშნული მემორანდუმის გაფორმება მნიშვნელოვანია, ადგილობრივი ხელისუფლების ისეთ საქმიანობაში ჩართულობის კუთხით, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ადვოკატისადმი ნდობისა და რეპუტაციის ამაღლებას. ასევე, კანონის უზენაესობის განმტკიცებას.

მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები გეგმავენ, აქტიურად ითანამშრომლონ საკანონმდებლო საქმიანობის პროცესში და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით ერთობლივად შეიმუშაონ სამართლებრივი რეგულაციები და პროექტები.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრსა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა



27 აპრილს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმით, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი და იუსტიციის სასწავლო ცენტრი ესწრაფვიან რა, საქმიანობის წარმატებით განხორციელებას და ითავისებენ რა, პროფესიულ მოხელეთა ინსტიტუტის დამკვიდრების მნიშვნელობას, ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, საკუთარი კომპეტენციის გათვალისწინებით, შეთანხმდნენ და გააფორმეს მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც:

ა) იუსტიციის სასწავლო ცენტრს, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრისგან გადაეცა ელექტრონული საგამოცდო სისტემა. მრავალფუნქციური ტესტირების პროგრამა სპეციალურად საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის არის შექმნილი და საშუალებას იძლევა უსაფრთხო ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოხდეს აპლიკანტთა გამარტივებული წესით რეგისტრაცია, ტესტირება, შედეგების მყისიერი დაჯამება და მათი გასაჩივრება. ახალი ტესტირების პროგრამა იუსტიციის სასწავლო ცენტრს საშუალებას მისცემს დახვეწოს ტესტირების მეთოდოლოგია და შეიმუშაოს შეფასების განსხვავებული ინსტრუმენტები, გარდა ამისა პროგრამა ხელს შეუწყობს ცენტრის ტესტირების მიმართულების გაძლიერებას და მის თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოებას.

ბ) ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრს მიეცა შესაძლებლობა იუსტიციის სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე დაგეგმოს და ორგანიზება გაუწიოს საგანმანათლებლო ღონისძიებებს ადვოკატებისთვის და დაინტერესებული იურისტებისთვის.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ბათუმში ადვოკატებთან შეხვედრები გამართა და მიმდინარე რეფორმები გააცნო



22 აპრილს ადვოკატთა ასოციაციის ბათუმის წარმომადგენლობაში ზაზა ხატიაშვილმა და ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანმა დავით ასათიანმა ადვოკატებთან შეხვედრები გამართეს. სადაც, ადვოკატთა ასოციაციაში განხორციელებული პროექტების ეფექტურობაზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ პროფესიული განვითარება და ინსტიტუციური გაძლიერება ასოციაციის მთავარ გამოწვევად რჩება. შეხვედრაზე, ზაზა ხატიაშვილმა აღნიშნა, რომ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია იწყებს საქართველოში ადვოკატის პროფესიაში შემოსვლის სტანდარტების დახვეწას და ადვოკატობის მსურველებისთვის პროფესიაში შემოსვლის სტაჟირების სისტემის ევროპულ სტანდარტებამდე მაქსიმალურად მიახლოებას. სავალდებულო სტაჟირების სისტემა გულისხმობს, ადვოკატის პროფესიაში შემოსვლის მსურველის სასწავლო და პრაქტიკული კურსის გავლის გზით პროფესიულ უნარ-ჩვევებში მომზადებას. სავალდებულო სტაჟირების სისტემის მიზანია, საადვოკატო საქმიანობის პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე პირის პროფესიაში მიღება. სისტემა უნდა ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან“.

დავით ასათიანმა ადვოკატის სკოლის შექმნის პრიორიტეტებზე, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების დახმარებაზე და მხარდაჭერაზე ისაუბრა: „ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს სურვილია, საქართველოში ადვოკატის სკოლა შეიქმნას, რომელსაც ადვოკატის გამოცდის ჩაბარების შემდეგ, ადვოკატობის მსურველი ყველა პირი გაივლის. ადვოკატი საერთაშორისო სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, რათა ნებისმიერი მოქალაქე კვალიფიციური საადვოკატო მომსახურებით იყოს დაცული. აღნიშნული რეფორმა მიმდინარეობს „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ინიციატივით და მხარდაჭერილია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტის და ევროპის საბჭოს და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერა“ მიერ“.

## საფეხბურთო მატჩი ბათუმში



24 აპრილს ბათუმში ადვოკატთა ასოციაციის 2015 წლის ჩემპიონი ფეხბურთში მალხაზ ლაფაჩის გუნდი „ფორცა“ და დასავლეთ საქართველოს ჩემპიონი „ბათუმი“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ამხანაგურ თამაშში. მატჩი იყო ძალიან დაძაბული და დამთვრდა მალხაზ ლაფაჩის გუნდის „ფორცა“ გამრჯევებით 7-5. ადვოკატთა ასოციაცია დიდ მადლობას უხდის ქალბატონ ლელი ბჟალავას, მალხაზ ლაფაჩს და დავით ასათიანს საინტერესო ღონისძიების ორგანიზებისთვის. თამაშის შემდეგ, ზაზა ხატიაშვილმა და დავით ასათიანმა გამორჩეული მოთამაშეები სამახსოვრო პრიზებით დააჯილდოვეს. 25-26 მაისს გაიმართება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2016 წლის თასის გათამაშების ფინალური ეტაპი .

## ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ქუთაისელ ადვოკატებთან შეხვედრები გამართა და მიმდინარე რეფორმები გააცნო



22 აპრილს ადვოკატთა ასოციაციის ქუთაისის წარმომადგენლობაში ზაზა ხატიაშვილმა და ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანმა დავით ასათიანმა ადვოკატებთან შეხვედრები გამართეს. სადაც, ადვოკატთა ასოციაციაში განხორციელებული პროექტების ეფექტურობაზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ პროფესიული განვითარება და ინსტიტუციური

გაძლიერება ასოციაციის მთავარ გამოწვევად რჩება. შეხვედრაზე, ზაზა ხატიაშვილმა აღნიშნა, რომ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია იწყებს საქართველოში ადვოკატის პროფესიაში შემოსვლის სტანდარტების დახვეწას და ადვოკატობის მსურველებისთვის პროფესიაში შემოსვლის სტაჟირების სისტემის ევროპულ სტანდარტებამდე მაქსიმალურად მიახლოვებას. სავალდებულო სტაჟირების სისტემა გულისხმობს, ადვოკატის პროფესიაში შემოსვლის მსურველის სასწავლო და პრაქტიკული კურსის გავლის გზით პროფესიულ უნარ-ჩვევებში მომზადებას. სავალდებულო სტაჟირების სისტემის მიზანია, საადვოკატო საქმიანობის პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე პირის პროფესიაში მიღება. სისტემა უნდა ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან“.

დავით ასათიანმა ადვოკატის სკოლის შექმნის პრიორიტეტებზე, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების დახმარებაზე და მხარდაჭერაზე ისაუბრა: „ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს სურვილია, საქართველოში ადვოკატის სკოლა შეიქმნას, რომელსაც ადვოკატის გამოცდის ჩაბარების შემდეგ, ადვოკატობის მსურველი ყველა პირი გაივლის. ადვოკატი საერთაშორისო სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, რათა ნებისმიერი მოქალაქე კვალიფიციური საადვოკატო მომსახურებით იყოს დაცული. აღნიშნული რეფორმა მიმდინარეობს „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ინიციატივით და მხარდაჭერილია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტის და ევროპის საბჭოს და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერა“ მიერ“.

## ქართველი ადვოკატები პროფესიულ სტაჟირებას საფრანგეთში გაივლიან



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ციცინო ცხვედიანი, ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს წევრები და საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი საფრანგეთში საქმიან ვიზიტით იმყოფებოდნენ.

დელეგაციის წევრები პარიზის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტს ფედერიკ სიკალის და ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის დამფუძნებელს ანა სოლელიაკს შეხვდნენ.

პარიზის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის ფედერიკ სიკალის და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის ზაზა ხატიაშვილის შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ უახლოეს დღეებში, თანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერება ხელი, რომლის თანახმად, მომავალი წლიდან, ქართველი ადვოკატები, რომლებიც ფრანგულ ენას ფლობენ, პარიზის

ადვოკატთა ასოციაციის დაფინანსებით, პარიზის ადვოკატთა ასოციაციაში ორ თვიან სტაჟირებას გაივლიან. შეხვედრის დასასრულს, ზაზა ხატიაშვილმა სამახსოვრო წიგნში გააკეთა ჩანაწერი და კოლეგებს პროფესიული წარმატებები უსურვა.



ვიზიტისას, ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის დამფუძნებელთან ანა სოლელიაკთან შეხვედრა გაიმართა, სადაც გადაწყდა, რომ საქართველოში ჩამოვა 12 ფრანგი ადვოკატისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც საქართველოში ადვოკატთა უფლებრივ მდგომარეობას შეისწავლის. შეხვედებიან ყველა ადვოკატს, რომლებიც ზეწოლის ობიექტები გახდნენ და პროფესიული უფლებების დაცვაში დახმარებას აღმოუჩენენ. შეხვედრის დასასრულს, ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის დამფუძნებელმა ანა სოლელიაკმა აღნიშნა, რომ გააგრძელებს ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მხარდაჭერას.

საფრანგეთში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაციის ვიზიტი ევროპის საბჭოს და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერა“ ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობდა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, სასწავლო ცენტრის დირექტორი და საგანმანათლებლო საბჭოს წევრები საქმიანი ვიზიტით საფრანგეთში იმყოფებოდნენ



საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია იწყებს საქართველოში ადვოკატის პროფესიაში შემოსვლის სტანდარტების დახვეწას და ადვოკატობის მსურველებისთვის პროფესიაში შემოსვლის სტაჟირების სისტემის ევროპულ სტანდარტებამდე მაქსიმალურად მიახლოებას. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს სურვილია, საქართველოში ადვოკატის სკოლა შეიქმნას, რომელსაც ადვოკატის გამოცდის ჩაბარების შემდეგ, ადვოკატობის მსურველი ყველა პირი გაივლის. ადვოკატთა ასოციაციას სურს ადვოკატი საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებდეს, რათა ნებისმიერი მოქალაქე კვალიფიციური საადვოკატო მომსახურებით იყოს დაცული. ევროპის საბჭოს და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერა“ ფინანსური მხარდაჭერით (პროექტის ხელმძღვანელი სოფიო წაქაძე), ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭო საფრანგეთში იმყოფებოდა და ანალოგიური მოდელის საქართველოში დანერგვის მიზნით, შეხვედრებს მართავდა ვერსალის და პარიზის ადვოკატთა სკოლებში.. ადვოკატთა ასოციაციის სურვილია, 2017 წლიდან დაიწყოს ადვოკატის სკოლის საპილოტო პროგრამის განხორციელება და მისი ეტაპობრივი დანერგვა. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე და საგანმანათლებლო საბჭოს წევრები შეხვდნენ ვერსალის და პარიზის სკოლის დირექტორებს, გაიმართა შეხვედრები საფრანგეთის და პარიზის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტებთან. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, ფრანგი კოლეგები, ადვოკატის სკოლის თეორიული კურსის საბაზისო პროგრამის შემუშავებასა და დანერგვაში დახმარებას დაჰპირდნენ.

ადვოკატთა ასოციაციის მიზანია, ადვოკატის სკოლაში ადვოკატობის მსურველები დაეუფლენ ისეთ უნარ-ჩვევებს, რაც არცერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ ისწავლება. ადვოკატთა ასოციაცია დიდ მადლობას უხდის ევროკავშირს და ევროსაბჭოს ადვოკატის პროფესიის განვითარებაში შეტანილი უდიდესი დახმარებისთვის. მალე, საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, ძლიერი ადვოკატთა კორპუსი ქვეყნის სამართლებრივი განვითარების საფუძველია.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვა გაიმართა



07 აპრილს, ადვოკატთა ასოციაციაში იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულისისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვა გაიმართა. შეხვედრის მთავარი თემას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76 2 მუხლის შემოთავაზებული რედაქცია წარმოადგენდა, რომელიც ითვალისწინებს ბრალდებულის და მოწმის ხასიათის მტკიცების ახალ რეგულაციებს. შეხვედრის მონაწილე ადვოკატებმა საზღვარგარეთის

ქვეყნების გამოცდილება და ქართული სასამართლო პრაქტიკა განიხილეს. გამოითქვა მოსაზრებები კანონპროექტის დახვეწასთან დაკავშირებით, რომელსაც შეხვედრის მონაწილეები კანონპროექტის ინიციატორ უწყებას გადაუგზავნიან.

სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა



1 აპრილს, სასტუმრო „Tbilisi Marriot“-ში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა სამოქალაქო სამართლის ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა ამორალური გარიგებათა და მევახშეობის - კანონისმიერი მოწესრიგება და სასამართლო პრაქტიკა.

კონფერენცია, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიშვილმა და გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) პროექტის მენეჯერმა ამალია ვუქერთმა გახსნეს. ბრემენის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს პალატის თავმჯდომარემ პეტერ ლუთრინგჰაუსმა ისაუბრა გერმანიის სასამართლო პრაქტიკაზე ამორალური გარიგების და მევახშეობის საქმეებზე, ხოლო გერმანელი ადვოკატის გუნთერ ვაისის მიერ წარმოდგენილი მოხსენება ამორალური გარიგებების კანონისმიერი მოწესრიგების გერმანულ მოდელზე. კონფერენციას ადვოკატთა და მოსამართლეთა კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.





კონფერენცია ორგანიზებული იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, გერმანიის ადვოკატთა ფედერალური პალატის, გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის მხარდაჭერით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მოსამართლეთა კორპუსთან თანამშრომლობის ფარგლებში ინტენსიურად განაგრძობს თემატური კონფერენციების და შეხვედრების ორგანიზებას.

## სასწავლო ცენტრი განხორციელებული ღონისძიებები

- 4 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: ქონების რეგისტრაცია (ქ. თბილისი).
- 5 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: ქონების რეგისტრაცია (ქ. თბილისი).
- 5-7 აპრილი - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზებული კურსი (ქ. თბილისი).
- 7 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: საბანკო გარანტია (ქ. ქუთაისი)
- 8 აპრილი - ახლადგაწევრიანებული ადვოკატებისთვის ტრენინგი თემაზე: ადვოკატთა პროფესიული ეთიკა (ქ. თბილისი).
- 8 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: საავტორო სამართალი (ქ. თბილისი).
- 9 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: საბანკო გარანტია (ქ. ბათუმი).
- 10-12 აპრილი - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზებული კურსი (ქ. ქუთაისი).
- 11 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: საგადასახადო სამართალი (ქ. თბილისი).
- 12 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: ლტოლვილთა სამართალი (ქ. თბილისი).
- 13 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: ადვოკატის როლი მედიაციის პროცესში (ქ. თბილისი).
- 14 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: ვადები და ხანდაზმულობა სამოქალაქო სამართლის პროცესში (ქ. თბილისი).
- 14 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: აღკვეთის ღონისძიებები სისხლის სამართლის პროცესში (ქ. ბათუმი).
- 15 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: საბანკო გარანტია (ქ. თბილისი).
- 16-17 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები (ქ. თბილისი).
- 18-19 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები (ქ. თბილისი).
- 18 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: მტკიცებულებების მოპოვება დაცვის მხარის მიერ (ქ. თბილისი).
- 19 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: აღკვეთის ღონისძიებები სისხლის სამართლის პროცესში (ქ. თბილისი).
- 19 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: აღკვეთის ღონისძიებები სისხლის სამართლის პროცესში (ქ. ქუთაისი).
- 20 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: ფულადი ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში (ქ. თბილისი).
- 21 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: საგადასახადო სამართალი (ქ. თბილისი).
- 22 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: საბანკო გარანტია (ქ. თბილისი).
- 25 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში (ქ. თბილისი).
- 26 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: აღკვეთის ღონისძიებები სისხლის სამართლის პროცესში (ქ. თბილისი).
- 27 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: ხელშეკრულებიდან გასვლა (ქ. თბილისი).
- 27 აპრილი - ხელი მოეწერა მემორანდუმს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო

ცენტრსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრს შორის.  
28 აპრილი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: ინტელექტუალური სამართალი (ქ. თბილისი).

## სასწავლო ცენტრი მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები

- 4-6 მაისი - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზებული კურსი (ქ. თბილისი).  
10-11 და 13 მაისი - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზებული კურსი (ქ. თბილისი).  
14 მაისი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ (ქ. ბათუმი).  
15 მაისი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: საგადასახადო სამართალი (ქ. ბათუმი).  
16 მაისი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: საგადასახადო სამართალი (ქ. ბათუმი).  
17 მაისი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: საგადასახადო სამართალი (ქ. ქუთაისი).  
18 მაისი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში (ქ. თბილისი).  
28-29 მაისი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: იურიდიული დასკვნის და გადასწყვეტილების სტილი (ქ. თბილისი).  
28 მაისი - ტრენინგი ადვოკატებისთვის თემაზე: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ (ქ. ქუთაისი).

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: [education@gba.ge](mailto:education@gba.ge) / [sascavlocentri@gba.ge](mailto:sascavlocentri@gba.ge)

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე / შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33/36

## ეთიკის კომისია

მაისში დაგეგმილია სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც დაკომპლექტება ეთიკის კომისიის წევრებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მოსამართლეებისგან. ჯგუფი გაწერს ადვოკატთა საჩივრის განხილვის პროცედურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ. ჯგუფის მუშაობას ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევს USAID EWMI PROLOG-ის პროექტი.

### თბილისი

ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

ტელ.: (+99532) 222 46 54

ელ. ფოსტა: [info@gba.ge](mailto:info@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### ქუთაისი

ნოდარ დუმბაძის ქ. N8

ტელ.: (0431) 247 247

ელ. ფოსტა: [info.qutaisi@gba.ge](mailto:info.qutaisi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### თელავი

ვარდოშვილის 15

ტელ.: (0350) 272 015

ელ. ფოსტა: [info.telavi@gba.ge](mailto:info.telavi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22

ტელ.: (0422) 29 29 02

ელ. ფოსტა: [info.batumi@gba.ge](mailto:info.batumi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: [education@gba.ge](mailto:education@gba.ge) / [sascavlocentri@gba.ge](mailto:sascavlocentri@gba.ge)

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე

შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33